

**სტრუქტურის მიმართული მიმართებების გრაფიკული
მოდელირების, გაპროცესისა და ტრანზონირების შესახებ**

ვანცეტ ნიკოლაიშვილი, დავით კაპანაძე, თალიკო ჟვანია, მზა კიკნაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება ინფორმაციულ მიმართებათა და ლოგიკურ მტკიცებულებათა გრაფიკული მოდელირების საკითხები ასახვის გრაფის გამოყენებით. ნაჩვენებია სქემატური წარმოდგენის შესძლებლობა ზოგიერთი რელაციური (სტატისტიკური) მონაცემებისათვის განზოგადოებული და ტრანსფორმირებული კავშირებით ზოგიერთი ასახვის გრაფულ კომპონენტებს შორის.

გასაღებური სიტყვები: სასწავლო პროცესი. ინფორმაციული მიმართება. გრაფული მოდელი. ლოგიკური სტრუქტურა. მათემატიკა. ასახვა. წარმოებული. დიფერენციალი.

1. შესავალი

სხვადასხვა დებულებების მტკიცების ერთიანი ლოგიკური სტრუქტურის მიგნება და სწავლების პროცესში ეფექტური გამოყენება ურთულესი საკითხია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ საკითხს აძლევს საჭირო ინფორმაციის ზრდის ტემპები, რაც ვრცელდება როგორც ფაქტობრივი მასალის ათვისების პროცესის, ისე მისი გავრცობის საშუალებების სრულყოფაზე. ეს კარგად ჩანს, კერძოდ მათემატიკის მაგალითზე, სადაც აღნიშნული მტკიცებულებები და არა ბრმად დამახსოვრების უპირატესობა უფრო ღირებულია. საერთო ჯამში მზარდი ინფორმაციის ინტესიური ათვისება და ქვეყნის ინტერესების სამსახურში დროული ჩაეყიდება დაკავშირებულია პედაგოგიურ (და არა მარტო) სირთულეებთან.

აღნიშნულ პედაგოგიური სირთულეების შესახებ ცნობილი მეცნიერი ბ.ვ. გნედენკო ამოცანას აყალიბებს შემდეგნაირად: „რიგში დგას პედაგოგიკის მათემატიკური მოდელების დამუშავება. მაგრამ ეს როტული და ხანგძლივი პროცესია. პედაგოგიური მიზნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდელები, რომლებშიც დამუშავდებოდა აზროვნების პროცესთან, ყურადღების შენარჩუნებასთან, მეცნიერების მუშაობასთან, კოლექტივის ყოფაქცევასთან და კავშირებული საკითხები. ამათი დამაკავშირებული გადაწყვეტა ჯერ კიდევ არ გვაქს, მაგრამ თუ მათზე შეუპოვრად ვითიქრებთ, მკვდარი წერტილიდან დაიძვრება ჩვენი ცოდნა, საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში” [1, გვ.103].

სსენტებული ძვრის მისაღწევად მამოძრავებული პიპოტების ჩამოყალიბებისა და კვლევის საშუალებების (ობიექტის) გარკვევაში (გარდა კომპიუტერულ მეცნიერებებში გავრცელებული სტილისა) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოლოგთა და ნეიროფიზიოლოგთა ცნობილმა დასკნებმა [2, გვ.183, გვ.182].

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აზროვნების პროცესის (ლოგიკური მსჯელობის) გრაფიკული მოდელირება შეიძლება ასახვებს შორის მიმართებათა მიგნებით. ასახვათა და იმპლიკაციათა შესაბამისი (სიბილურ-მიმანიშვნებელი წარწერებით აღჭურვილი) ისრების გამოყენებით ვლებულობთ ძირითად ლოგიკურ თანაფარდობათა სქემატურ-დიაგრამულ მოდელებს, რომლებიც კომპაქტურად იძლევან თვალსაჩინოდ სისტემატიზებულ ინფორმაციას. ამ მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ამ შრომის ძირითადი მიზანი: -შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ტრანზისტორული მიღებების პარალელურად, როგორც თვალსაჩინოების დამატებითი საშუალება მასალის სტრუქტურულად დალაგებისა და სისტემატიზების წარმოსაჩინად, მისი დამახსოვრების, არსში ჩაწვდომის, განმტკიცების, სწრაფი გამეორების და ელექტრონული (ვარიანტების) რეალიზების გასაიონლებლად.

განხილული ობიექტები, რომლებიც წარმოადგენ გარკვეულ სიმრავლეთა ელემენტებს და რომლებზედაც მოქმედებენ სხვადასხვა გარდაქმნები (ასახვები), აღნიშნება ფრჩხილებში ჩასმული სიმბოლური გამოსახულებებით ან ფორმულებით. მასალის მოცულობის ზრდის კვალობაზე ფაქტების ერთმანეთში არევის ასაცილებლად გამოიყენება მართვულოვანი ჩარჩოებით შემოხაზვა. როცა სქემაში ისმება კონკრეტული მაგალითი ან ფორმულა (ფუნქცია) საკმარისია

ოპერაციათა თანმიმდევრობის ჩვენება ისრებით ფრჩხილებისა და მართკუთხედების გარეშეც (შედარებისათვის იხილეთ [4, გვ.35-37].

I ლოგიკურ კავშირთა გრაფული მოდელირების ნიმუშები

1.1 უსასრულო მცირებათან დაკავშირებული ასახვები და მათი გამოყენება

გარკვეულ (თვისების) ფუნქციათა სიმრავლის ყოველ F ელემენტზე შესაბამისი უსასრულო მცირის დამატებით ან მასზე გამრავლებით, მიღება ამ სიმრავლის ასახვა, საზოგადოდ, სხვა სიმრავლეში (ან სიმრავლეზე). კერძოდ ხსენებული უსასრულო მცირე შეიძლება იყოს $(dx)^n$ ან $o_F(\Delta x^n), n = 1, 2, \dots, r$ ორმელთაგანაც მივიღებთ ასახვებს: $F \xrightarrow{dx} F'dx$, ან $\Delta F = F(x) - F(x_0) \xrightarrow{+O_F(\Delta x)} dF$; ასევე თუ ფუნქციის ΔF ნაზრდს x_0 წერტილში შევხედავთ როგორც ასახვას $\Delta : F \rightarrow \Delta F$ მივიღებთ ასეთ განსაზღვრებას:

შევნიდავ x_0 წერტილში აქვს წარმოებული (ან დიფერენციალი) თუ არსებობს ასახვა $d/dx : F \rightarrow F'$, რომელიც ხსენებულ $\Delta, dx, o_F(\Delta x)$ ასახვებითან (1) დაგრამის (პირველი და მეორე ბლოკის) კომუტაციურობის პირობითაა დაკავშირებული. წარმოებულის ტრადიციული განსაზღვრა $F' = \lim_{\Delta x \rightarrow 0} \frac{\Delta F}{\Delta x}$, რომელსაც ახალი გამოსათვლელი გამოსახულება შეიძლება ეწოდოს $\Delta F - dF = o_F(\Delta x)$, ტოლლიდნ მიღება ანუ ის, როგორც ზღვრული თანაფარდობა, ხსენებული $+ o_F(\Delta x)$ ასახვის არსებობის შედეგია.


წარმოებულისა და დიფერენციალის ძირითადი ურთიერთკავშირის გამოყენება მათი ერთდროული განსაზღვრისათვის, აიოლებს მათგან გამომდინარე შედეგების მიღებას და დაგრამის მომდევნო შემადგენელი კომპონენტების შევსებას ახალი ინფორმაციით; მათი ლოგიკური თანმიმდევრობა წარმოჩნდილია დაგრამა 1-ზე I-VI ბლოკებით, რომლებიც მაღალი რიგის წარმოებულებზეც შეიძლება გავრცელდეს. ამავე სახით შეიძლება მიღებული იქნას მრავალი ცვლადის ფუნქციის გრადიენტისა და სრული დიფერენციალის (ერთიანი) განსაზღვრებები. ამისათვის ასახვა d/dx იცვლება $grad : F \rightarrow (F'_x, F'_y, \dots)$ ასახვით, dx -ზე გამრავლების ნაცვლად გვექნება სკალარული ნამრავლი $grad F \cdot (dx, dy, \dots)$. ამგვარი შინაარსის ცვლილება (მისი გაღრმავება) გამოისახება ისრებზე მიწერილი წარწერების გამოყენებით გრაფიკული ფორმის შეუცვლელად. ეს მიღეომა უფრო მეტსაც მოიცავს:

აღნიშნული მოდელის შინაარსობრივი დატვირთვის გაზრდით, მისი ფორმის ან ინფორმაციის მოცულობა რაოდენობრივი ცვლილების გარეშე, შეიძლება მიღიღოთ მრავალი ცვლადის ფუნქციის დიფერენციალური აღრიცხვის ძირითადი თეორემები და მათი მიმართვები გარკვეული კანონზომიერების წარმოჩნდით.

1.2 ასახვათა ახალ-ახალი კომპოზიციები და მათი მიმართებების სრტუქტურირება

დიფერენციალური აღრიცხვის ლოკალურ თვისებათა (ლაგრანჟის ფორმულის გათვალისწინებით) აღწერილი ტოლობების (კერძოდ, დიაგრ. 1-ის IV ბლოკი) გარკვეული წესით აჯამავს და ზღვარზე გადასვლას მივყავართ ინტეგრალური აღრიცხვის მთავარ შედეგამდე, რომელიც 1-ელ დაგრამაზე V ბლოკის კომუტაციურობით მოდელირდება. აქ დამტკიცების გამარტივებისათვის მოთხოვნილია [a,b] სეგმენტზე მოცემული ფუნქციის თითქმის ყველგან უწყვეტად წარმადობა, თუმცა შედეგი სამართლიანია უფრო ზოგად პირობებშიც. ის შეიძლება გავრცელდეს მრავალი ცვლადის ფუნქციისთვისაც, თუ ურთიერთშებრუნებად „ასახვებად“ ვიგულისხმებთ სრულ დიფერენციალსა და მარტივად ბმულ არეში აღებულ წირით ინტეგრალ ცვლადის ზედა საზღვრით.

განმარტებათა უმრავლესობა წარმოადგენს დაგრამის (გრაფის) სათანადო ბლოკის (ნაწილის) შემადგენელი ასახვების (ისრების) ურთიერთკომუტირების (სხვადასხვა გზებით მიღებულ გამოსახულებათა ტოლობის) შედეგს გარკვეული წინაპირობათა მოთხოვნისას.




დიაგრამა 1

ერთი და იგივე მონაცემების სხვადსხვა შევსება (გავრცობა) იწვევს ცნებებს შორის ახალ-ახალი მიმართებების დადგენას. თვალსაჩინოების და სიცხადის შენარჩუნების მიზნით ასახვათა კომპიუტორი ან მიღებული გრაფის (დიაგრამის) ზოგიერთი ქვეგრაფები შეიძლება შეიცვალოს ახალი დასახელების წვეროებით ან ისრებით, რომელთაც გარკვეული დოზით შენარჩუნებული ექნებათ მემკვიდრეობითობა [3,გვ.185].

დიაგრამა (1)-ის მიხედვით დააგრამა (2)-ის ბლოკების მიმდევრობის აგებას შეიძლება ეწოდოს ცოდნის გავრცობის ან მიზნობრივად ტრანსფორმირების წარმოსაჩენი მოდელი.

სასურველია ამგვარი პროცესების წარმოჩენა განხორციელდეს ავტომატურ რეჟიმში. იგულისხმება თანამდებობები ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა, კერძოდ თანმიმდევრული გადაცემის და სწავლების განხორციელებაში.



გრაფიკი 2

გარკვეული ანალოგიების გატარებით მიიღება ამგვარი მოდელირების ნიმუშები სხვა თემებისთვისაც, ერთ-ერთია მრავალწევრთა გაყოფის გრაფიკული მოდელირება [4.გვ.37]. აქ ურთიერთშებრუნებული ოპერაციები, რომლებიც ანალოგიურია dx -ზე გამრავლების ან dx -ზე გაყოფის, ყოველ ნაბიჯზე გარკვეული განზომილების ვექტორთა სკალარული ნამრავლით იცვლება. აღწერილი მიდგომის სხვა დარგებში უფრო ფართო და გაიოლებული გავრცობის პერსპექტივა უნდა შეფასდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების სრულყოფის ფონზე. საზოგადოდ, ესაა მათემატიკური აზროვნების იმიტაციური მოდელირების გრაფიკული ნიმუში.

II შეფასებები პერსპექტივური ექსპერიმენტის საფუძველზე

აღწერილი კონცეფციის მიხედვით ასახვის ტერმინებით შეიძლება გაშუქებული იქნას დიდაქტიკის ცნობილი პრინციპები. პირველ რიგში საქმე ეხება იმას, რომ ასახვის ცნობასთან დაკავშირებულია მთავარი საკითხები, რომელთა ფონზე ერთიანობაში სტრუქტურირდება მასთან დაკავშირებული სხვა თემები. ამ ერთიანობით იზრდება ინტერესი, ხარისხი, მეცნიერული დონე, შემოქმედებითი (მეცნიერული) აქტივობა და ა.შ.

როცა სახეზეა ათვისებაზე დახარჯული დროის მინიმალურობა, ჩაწვდომის გაიოლება, პრაქტიკული გამოყენების უნარის გამომუშავება ან მიღწეულია რაიმე სხვა ოპტიმალურობის ეფექტი ბუნებრივია, რომ სწავლების ამგვარი მეთოდიკა იმსახურებს აქტიურ მხარდაჭერას. ამის მიღწევას სჭირდება ხანგძლივი დაკვირვება, ყოველმხრივი გადამოწმება, მიღებულ გამოხმაურებათა კოლექტიური ანალიზი.

ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ეს მოწმდებოდა სხვადასხვა მიმარულებით, კერძოდ, სქემატური მოდელების მიხედვით სისტემატიზებული და ათვისებული ინფორმაციის დამახსოვრების გადამოწმება ხდებოდა საკმაოდ ხანგძლივ დროს გასვლის შემდეგ, ამასთან ხდებოდა მისი შედარება ჩვეულებრივ ტრადიცული მეთოდებით ათვისებულთან. აღმოჩნდა, რომ შთამბეჭდავი იყო არა მარტო მასალის მექანიკურ დამახსოვრების გაიოლება, არამედ თვალსაჩინოებამ აამაღლა აბსტრაქტულ ლოგიკური მსჯელობის უნარი, ლოგიკური გააზრებულობის სიღრმე და მასთან დაკავშირებული საერთო ინტერესი.

შემდგომი სრულყოფის ყოველ ეტაპზე ვითვალისწინებდით მრავალრიცხოვან მოსწავლეთა, სტუდენტთა, მათ მასწავლებელთა კრიტიკულ მოსაზრებებს. ისინი იყვნენ არა მარტო სენტებულ ექსპერტების უშუალო მონაწილეობის, არამედ გარეშე დაინტერესებული პირები, ასევე გამოცდილი ექსპერტები. უმეტესობის კეთლმოსურნე და მხარდამჭერი გამოხმაურებები ცხადია სტიმულის მომცემი იყო.

ამ შრომის პირველ ავტორს აღწერილის ირგვლივ შესრულებული აქვს მონოგრაფული გამოკვლევა. დანარჩენი ავტორები მონაწილეობენ აღწერილ მეთოდების გამოყენებით სახელმძღვანელოების კომპიუტრული ვარიანტის შექმნაში.

ბუნებრივია ეს უკავშირდება სასწავლო მასალის სტრუქტურიზებული გადმოცემის შემდგომ გაუმჯობესებასა და ცოდნის ხარისხის ავტომატიზებულ შეფასების პროცესის სრულყოფას [5. გვ.894].

III ზოგიერთი დასკვნა და რეკომენდაციები

ხანგძლივი კვლევა-ძიების შედეგად მიღებული იქნა ასეთი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. ასახვათა და იმპლიკაციების შესაბამისი მოდიფიცირებული ისრების გამოყენებით მიიღება ძირითად ცნებათა და მათ შორის მიმართებათა (დადგნის საკვანძო მიმართების მაჩვენებელი) გრაფიკული მოდელები, რომელთა ოპტიმალურად რეალიზაცია უკავშირდება მოვლენათა არსში ჩაწვდომას.

2. დიდი ინფორმაციის შეჯამება და სისტემატიზება, აღნიშნული მოდელირების გზით, აჩქარებს აღქმის, მისი გაგების, მეხსიერებაში დაფიქსირების და ამის შედეგად სწავლის ხარისხის ამაღლებას;

3. აღწერილი მიდგომა არამარტო აიოლებს გამეორებას, დავიწყებულის გახსენებას, არამედ მის შემდგომ შევსებას და გაღრმავებას. ამ მიდგომის როლი და მნიშვნელობა იზრდება სასწავლო მასალის ზრდის კვალობაზე;

4. რომელიმე შემოთავაზებული მოდელის შეფასება მისი სრულყოფის უნარი შესაძლოა გამოყენებულ იქნას კონსულტაციების, ცოდნის შემოწმების, გამოცდის გამარტივებული ვარიანტის მისაღებად.

5. უკავშირდება რა აბსტრაქციულ ლოგიკურ მსჯელობის დამახსოვრების გაიოლებას, ეს თვალსაჩინოება შემოქმედებითი აქტივიზაციის საშუალებაა.

6. ცნებების თვისებების, ურთიერთმიმართებების სქემატურ-დიაგრამული წარმოდგენა ადამიანის მრავალგვარი საქმიანობისათვის საჭირო ჩვევების შემუშავების ხელშემწყობია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეს სარგებლობა პროგრამირების ელემენტების შესწავლაში.

7. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აღწერილი მეთოდიკა გამოყენებით სასკოლოდან საუნივერსიტეტო სწავლებაზე თანმიმდევრული გადასვლის სიძნელეები ნაწილობრივ მაინც შესაძლოა იქნეს აცილებული.

ლიტერატურა

1. Гнеденко Б.В., Математика и Математическое образование в современном мире. М., Просвещение, 1985.
2. Виркхофф Г., Математика и физиология, М., Сов. радио 1977.
3. ნიკოლაიშვილი ვ., ქვანია თ., კაპანაძე დ. ინფორმაციის გრაფული მოდელირებისა და მისი გამოყენების შესახებ. საერთ.კონფ. „ინფორმაციული ტექნოლოგიები მართვაში”. ტ-1, გვ.182-186, ობილისი, 2007.
4. Nikolaishvili V., Meladze G., Kapanadze D., Zhvania T., Kiknadze M., On Application of Information Technology for Representation And Transformation of Mathematical Reasoning. Symposium on "Contemporary Mathematics and its Application", Batumi, Georgia, 2007.
5. Николаишвили В., Арабули Н., Капанадзе Д., Об автоматизированной генерации тестов для оценки знаний, XI Intern.Scien. Kravchuk Conf., Kyiv, 2006.

О ГРАФОВОМ МОДЕЛИРОВАНИИ, РАСПРОСТРАНЕНИИ И ТРАНСФОРМИРОВАНИИ СТРУКТУРИРОВАННЫХ ИНФОРМАЦИОННЫХ ОТНОШЕНИЙ

Николаишвили В., Капанадзе Д., Жвания Т., Кикнадзе М.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются вопросы наглядного (графового) моделирования информационных отношений и логических утверждений с использованием графа отображения. Показывается (выясняется) возможность схематичного представления некоторых реляционных (статистических) данных сведением к обобщению и трансформированию связей между графовыми компонентами некоторых отображений.

ON GRAPH MODELING, EXTENSION AND TRANSFORMATION OF STRUCTURED INFORMATIONAL RELATIONS

Nikolaishvili Vanzet, Kapanadze David, Zhvania Taliko, Kiknadze Mzia

Georgian Technical University

Summary

Visual modeling of informational relations and logical reasoning by using graph of mapping is considered. Possibility of graph representation of the structured information by reducing to the extension and transformation of connections among graph components of some concrete mapping is stated.